

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს
2010 წლის 22 დეკემბრის სხდომის
ოქმი №4

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომას, საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის 36 წევრიდან, ესწრებოდა 28. სხდომას უძღვებოდა სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი, პროფ. ჯემალ გახოკიძე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი (იხ. დანართი) და კენჭისყრაზე დააყენა მისი დამტკიცების საკითხი.

წარმოდგენილი დღის წესრიგი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის პირველი საკითხი – პროფესორთა მოწვევის შესახებ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებები №345 და 364 – მომხს. პროფ. გიორგი აბრამიშვილი.

პროფ. გიორგი აბრამიშვილი: წარმოვიდგინოთ აკადემიური საბჭოს მიერ მიღებულ დადგენილებებს მოწვეულ პროფესორთა შესახებ:

1. სამთო- გეოლოგიური ფაკულტეტი

№	მოწვეული პროფესორები	მიმართულება	საათობრივი დატვირთვა	ანაზღაურების ნიხრი
1	ლომსაძე გურამი	სამთოსაქმის და გეოლოგიის მენეჯ. №49 მიმართულება	600	სრული პროფესორი
2	ტაბატაძე გოდერძი	„ - „	600	სრული პროფესორი

2. ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი

№	მოწვეული პროფესორი	მიმართულება	საათობრივი დატვირთვა	ანაზღაურების ნიხრი
1	ფერაძე ლიანა	№72 მიმართულება	600	სრული პროფესორი

3. ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტი

№	მოწვეული პროფესორები	მიმართულება	საათობრივი დატვირთვა	ანაზღაურების ნიხრი
1	ჩხეიძე ნანა	ინგლისური ენის მიმართულება	300	სრული პროფესორი
2	კუტუბიძე იაშა	ფილოსოფიის მიმართულება	300	სრული პროფესორი
3	ასათიანი როზეტა	ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის დეპარტ.	300	სრული პროფესორი
4	სეხნიაშვილი დალი	„ - „	600	ასოც. პროფესორი
5	ყურაშვილი გუგული	„ -- „	600	ასოც. პროფესორი
6	ჩიკვილაძე ნინო	„ -- „	600	ასოც. პროფესორი

პროფ. გიორგი აბრამიშვილი: დავამატებ, რომ გ. ლომსაძე, გ. ტაბატაძე, ლ. ფერაძე იყვნენ კონკურსით არჩეული სრული პროფესორები აკადემიურ თანამდებობაზე 300-300 საათზე, ხოლო დ. სეხნიაშვილი და გ. ყურაშვილი – უფროსი მასწავლებლები. აკადემიურმა საბჭომ განიხილა მათი დამსახურება, ღირსებები და გადაწყვიტა მოეწვია ისინი აღნიშნულ თანამდებობებზე.

პროფ. დავით ჯაფარიძე: როდესაც აკადემიურ საბჭოზე შევაქვთ მსგავსი განცხადება, ვინ ითვალისწინებს თანხებს? ანუ საიდან ავიღოთ მათთვის განკუთვნილი ხელფასები? გვაქვს თუ არა ბიუჯეტში საკმარისი რაოდენობის თანხა?

სპიკერი: აღნიშნულ პიროვნებებთან დაკავშირებით საბჭოს იმ წევრებს მინდა ვკითხო აზრი, რომლებიც წარმოადგენენ სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტს.

პროფ. ნაომ ბოჭორიშვილი: მოგახსენებთ, რომ გურამ ლომსაძე მუშაობდა კათედრის ხელმძღვანელად, იგი ყველასათვის ცნობილი და კარგი სპეციალისტია. ასევე გოდერძი ტაბატაძე, რომელიც იყო მისი მოადგილე, არის შესანიშნავი ადამიანი და, რაც მთავარია, აღნიშნული პიროვნებები თავიანთი საქმის პროფესიონალები არიან.

პროფ. დავით ჯაფარიძე: მე მაინც მინდა აღვნიშნო, რომ იმ ფაკულტეტებზე, სადაც შემოსავლები არ არის, კადრების მიღება უნდა შეჩერდეს, რადგან, კანონის

შესაბამისად, ფაკულტეტის ბიუჯეტი დამოუკიდებელი უნდა იყოს და სოლიდარობის მიზნით ნუ დავარღვევთ კანონს.

პროფ. ჯემალ ბერიძე: მე მაქვს ერთი შენიშვნა: ზემოაღნიშნული ადამიანები, როგორც პედაგოგები, პიროვნებები და პროფესიონალები, იმსახურებენ საათებს, მაგრამ რადგან ეს საკითხები გარკვეულწილად ფინანსებსაც ეხება, მიმაჩნია, რომ ისინი ჯერ უნდა განხილულიყო საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა მუდმივმოქმედ კომისიაში და მათი დადებითად გადაწყვეტის შემდეგ გამოტანილიყო წარმომადგენლობით საბჭოზე.

პროფ. ჯუმბერ იოსებიძე: ბატონ გიორგის გამოაქვს აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება.

სპიკერი: ბატონო გიორგი, როდესაც აკადემიური საბჭო მსჯელობს ამ საკითხებზე და ღებულობს დადებით გადაწყვეტილებებს, განიხილავს თუ არა ფინანსური უზრუნველყოფის საკითხებს?

პროფ. გიორგი აბრამიშვილი: აკადემიურ საბჭოზე ამ საკითხების განხილვისას დასმული იყო მსგავსი შეკითხვები, რაზეც მივიღეთ დადებითი ინფორმაცია.

პროფ. დავით ჯაფარიძე: გადახარჯვებია და მათ დაფინანსების წყარო საიდან აქვთ? ვფიქრობ, დეკანი არ უნდა წყვეტდეს კადრების მიღებას, ეს უნდა განიხილოს აკადემიურმა საბჭომ.

სპიკერი: აკადემიურმა საბჭომ იმსჯელა და მიზანშეწონილად ჩათვალა ამ ადამიანების მოწვევა, ამიტომაც გადმოგზავნა ეს საკითხი ჩვენთან დასამტკიცებლად.

პროფ. დავით ჯაფარიძე: დავამატებ, რომ აკადემიურ საბჭოზე ფინანსები დაზუსტებული უნდა იყოს და ასეთივე სახით უნდა შემოდიოდეს წარმომადგენლობით საბჭოზე დასამტკიცებლად. იქნებ ეს მომავალში მაინც გავითვალისწინოთ.

სპიკერი: რადგან მოწვეული კადრები ქმნის ასეთ პრობლემას, შევქმნათ დროებითი კომისია, რომელსაც უხელმძღვანელებს ბატონი მერაბ ახოზაძე და ამის შემდეგ გადაწყვეტილებები იქნება სხვა ფორმით მიღებული.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის პირველი საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 22 დეკემბრის №4 სხდომაზე პროფ. გ. აბრამიშვილმა წარმოადგინა საკითხი

პროფესორთა მოწვევის შესახებ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №345, 364.

საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა საფაკულტეტო სიების საფუძველზე მოწვეულ პროფესორთა შემდეგი შემადგენლობა:

1. სამთო- გეოლოგიური ფაკულტეტი

№	მოწვეული პროფესორები	მიმართულება	საათობრივი დატვირთვა	ანაზღაურების ნიხრი
1	ლომსაძე გურამი	სამთო საქმის და გეოლოგიის მენეჯ. №49 მიმართულება	600	სრული პროფესორი
2	ტაბატაძე გოდერძი	„ - „	600	სრული პროფესორი

2. ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი

№	მოწვეული პროფესორები	მიმართულება	საათობრივი დატვირთვა	ანაზღაურების ნიხრი
1	ფერაძე ლიანა	№72 მიმართულება	600	სრული პროფესორი

3.ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტი

№	მოწვეული პროფესორები	მიმართულება	საათობრივი დატვირთვა	ანაზღაურების ნიხრი
1	ჩხეიძე ნანა	ინგლისური ენის მიმართულება	300	სრული პროფესორი
2	კუტუბიძე იაშა	ფილოსოფიის მიმართულება	300	სრული პროფესორი
3	ასათიანი როზეტა	ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის დეპარტ.	300	სრული პროფესორი
4	სეხნიაშვილი დალი	„ - „	600	ასოც. პროფესორი
5	ყურაშვილი გუგული	„ - „	600	ასოც. პროფესორი
6	ჩიკვილაძე ნინო	„ - „	600	ასოც. პროფესორი

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეორე საკითხი – ფაკულტეტებზე პროფესიული სწავლების კრედიტის ფასის განსაზღვრის შესახებ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №360 – მომხსენებელი პროფ. გიორგი აბრამიშვილი.

პროფ. გიორგი აბრამიშვილი: წარმოგიდგენთ საკითხს ფაკულტეტებზე პროფესიული სწავლების კრედიტის ფასის განსაზღვრის შესახებ. აკადემიურმა საბჭომ გადაწყვიტა, რომ ფაკულტეტებზე პროფესიული სწავლების ერთი კრედიტის ფასი შეადგენდეს ბაკალავრიატში სწავლების ერთი კრედიტის ფასს.

შეიძლება გაჩნდეს კითხვა – რატომ ერთი კრედიტის ფასი, როდესაც შეიძლებოდა დაგვეწესებინა წლიური გადასახადი? პროფესიულ სწავლებაზე შეიძლება არ იყოს 60-ის ან 30-ის ჯერადი კრედიტები, რომ წელიწადთან დაგვეკავშირებინა წარმოდგენილი სახით საკითხის გადაწყვეტა უნივერსალურია და ყველასთვის გასაგები.

სპიკერი: ბატონო გიორგი, რამდენად დამოწმებულია ინფორმაცია? შეესაბამება თუ არა იგი კანონს უმაღლესი განათლების შესახებ და რამე ნორმატივი ხომ არაა დარღვეული?

პროფ. გიორგი აბრამიშვილი: უმაღლესი განათლების შესახებ კანონში პროფესიული განათლება არ არის, მის შესახებ არსებობს ცალკე კანონი, რომელსაც ჩვენი გადაწყვეტილება არ ეწინააღმდეგება.

პროფ. ზვიად კოვზირიძე: მაინტერესებს, რა არის პერსპექტივა ამ გადაწყვეტილების მიღებისა?

პროფ. გიორგი აბრამიშვილი: ეს კანონითაა მიღებული და ამით პერსპექტივაც ნათელია.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეორე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

ბ ა დ ა ო ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 22 დეკემბრის №4 სხდომაზე პროფ. გ. აბრამიშვილმა წარმოადგინა საკითხი ფაკულტეტებზე პროფესიული სწავლების კრედიტის ფასის განსაზღვრის შესახებ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №360.

საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა, რომ ფაკულტეტებზე პროფესიული სწავლების ერთი კრედიტის ფასი გაუტოლდეს ბაკალავრიატში სწავლების ერთი კრედიტის ფასს.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მესამე საკითხი – ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათის შესახებ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №349 – მომხსენებელი პროფ. ნუგზარ წერეთელი.

პროფ. ნუგზარ წერეთელი – წარმოგიდგენთ საკითხს პროფ. მ. ზვიადაძესთან დაკავშირებით და გთხოვთ ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის

ფაკულტეტისათვის მეტად საჭირო სახელმძღვანელოს „ფერადი ლითონების მეტალურგიული პროცესების ფიზიკური ქიმიის“ შექმნაზე მუშაობის საათები მას ჩაეთვალოს 480-საათიან აკადემიურ დატვირთვაში.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მესამე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

ბ ა დ ა ვ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 22 დეკემბრის №4 სხდომაზე პროფ. ნუგზარ წერეთელმა წარმოადგინა საკითხი, რომ პროფ. მ. ზვიადაძეს ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტისათვის მეტად საჭირო სახელმძღვანელოს „ფერადი ლითონების მეტალურგიული პროცესების ფიზიკური ქიმიის“ შექმნაზე მუშაობის საათები ჩაეთვალოს 480 საათიან აკადემიურ დატვირთვაში. სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №349.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა სტუ-ს აკადემიური საბჭოს №349 დადგენილება პროფ. მ. ზვიადაძის შესახებ, რომ მას სახელმძღვანელოს „ფერადი ლითონების მეტალურგიული პროცესების ფიზიკური ქიმიის“ შექმნაზე მუშაობის საათები ჩაეთვალოს 480 საათიან აკადემიურ დატვირთვაში.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეოთხე საკითხი – „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის მართვის სასწავლო-სამეცნიერო-საწარმოო ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №352 – მომხს. პროფ. თამაზ მეგრელიძე.

პროფ. თამაზ მეგრელიძე: წარმოგიდგინოთ საკითხს „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის მართვის სასწავლო-სამეცნიერო-საწარმოო ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეოთხე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

ბ ა დ ა ვ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 22 დეკემბრის №4 სხდომაზე პროფ. თ. მეგრელიძემ წარმოადგინა საკითხი „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის მართვის სასწავლო-სამეცნიერო-საწარმოო ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №352.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა სტუ-ს აკადემიური საბჭოს №352 დადგენილება „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის მართვის სასწავლო-სამეცნიერო-საწარმოო ცენტრის“ შექმნის შესახებ. ასევე დამტკიცდა ამ ცენტრის დებულება.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეხუთე საკითხი – „სტრუქტურულ კვლევათა რესპუბლიკური ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №353 – მომხსენებელი პროფ. თემურ ძიგრაშვილი.

პროფ. თემურ ძიგრაშვილი: წარმოგიდგინო საკითხს „სტრუქტურულ კვლევათა რესპუბლიკური ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეხუთე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №5

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 22 დეკემბრის №4 სხდომაზე პროფ. თ. ძიგრაშვილმა წარმოადგინა საკითხი „სტრუქტურულ კვლევათა რესპუბლიკური ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №353.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა სტუ-ს აკადემიური საბჭოს №353 დადგენილება „სტრუქტურულ კვლევათა რესპუბლიკური ცენტრის“ შექმნის შესახებ. ასევე დამტკიცდა ამ ცენტრის დებულება.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეექვსე საკითხი – „ქართული კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის“ სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №354 – მომხსენებელი პროფ. თამარ ხოხობაშვილი.

პროფ. თამარ ხოხობაშვილი: წარმოგიდგენთ საკითხს „ქართული კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის“ სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ.

ბ ა დ ა ვ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №6

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 22 დეკემბრის №4 სხდომაზე პროფ. თ. ხოხობაშვილმა წარმოადგინა საკითხი „ქართული კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის“ სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №354.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა სტუ-ს აკადემიური საბჭოს №354 დადგენილება „ქართული კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის“ სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის შექმნის შესახებ. ასევე დამტკიცდა ამ ცენტრის დებულება.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეექვსე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახოკიძემ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს აუწყა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, საბჭოს წევრებს მადლობა გადაუხადა სხდომაში მონაწილეობისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

სხდომის მდივანი,

სტუდენტი

თამარ ბუზიაშვილი